

ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიმღებ სისტემებში ექსპერტების კონსენსუსის და სიახლოვის ხარისხის დადგენა


ჯულიეტა გაგლოშვილი

Julieta.gagloshvili@tsu.ge

უნივერსიტეტი, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ. 13, 0186, თბილისი, საქართველო

ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიმღებ სისტემებში, რაც ზოგადად გულისხმობს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ალტერნატივებიდან საუკეთესოს ამორჩევას, გარდაუვალია სულ მცირე ორი პროცესის განხორციელება: პირველი - ექსპერტების კონსენსუსის (შეთანხმების) დადგენა, მათი სიახლოვის ხარისხის გაზომვით და მეორე გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რაც გულისხმობს მოცემული ალტერნატივებიდან განისაზღვროს საუკეთესო. ამასთან ექსპერტების კონსენსუსის დადგენის პროცესი, აუცილებლად წინმსწრები უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესისა. მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტების საბოლოო გადაწყვეტილება საუკეთესოს ამორჩევის შესახებ მიღებული იყოს მათი შეთანხმების პირობებში. ექსპერტთა კონსენსუსის დადგენა, როგორც წესი ხდება იქამდე ვიდრე ექსპერტების მონაწილეობით სისტემა გადაწყვეტილების მიღების პროცესს დაიწყებს.

გადაწყვეტილების მიმღებ სისტემებში, როგორც წესი ექსპერტების კონსენსუსის პროცესი იმართება მოდერატორის მიერ (Herrera et al. 1996; Kacprzyk et al. 1992), ეს უკანასკნელი არ მონაწილეობს განხილვაში, თუმცა ყოველ ნაბიჯს აკვირდება და პასუხისმგებელია შედეგი დადგეს ექსპერტთა მაქსიმალური შეთანხმებულობის პირობებში, შესაბამისად ამ პროცესის ანალიზის შედეგების მიხედვით მოდერატორი იღებს გადაწყვეტილებას: ექსპერტების რაოდენობის შემცირების, ან პროცესის უკან დაბრუნების შესახებ, ექსპერტთა შორის კონსენსუსის მიღწევამდე. ზოგადად



მოდერატორმა კარგად უნდა იცოდეს, როგორ მიიღოს ალტერნატივებიდან შერჩევის სწორი შედეგი, მის მიერ შერჩეული ექსპერტების შეთანხმებულობის პირობებში.

არსებობს კონსენსუსის გამოთვლის სხვადასხვა მეთოდი. ნაშრომში წარმოდგენილია კონსენსუსი გამოთვლის ხისტი და მოქნილი მეთოდები.

გამოყენებულია ლინგვისტური მნიშვნელობების აგრეგირების OWA-ს ტიპის ოპერატორი LOWA, ამ პროცესის ალგორითმები დამუშავებულია ელექტრონული ცხრილების გამოყენებით კონკრეტული ამოცანების საფუძველზე, სადაც ექსპერტების რაოდენობა არის ოთხი, ალტერნატივების რაოდენობა - ოთხი.

საკვანძო სიტყვები: ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიმღებ სისტემა, ოპერატორი LOWA, ექსპერტების კონსენსუსი, ექსპერტების სიახლოვის ხარისხი.